სდასუ

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

დამტკიცებულია:

<u>წარმომადგენლობითი საბჭოს 2026 წლის 02 ივნისის გადაწყვეტილებით (ოქმი №1)</u>

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსტეტის ეთიკისა და ქცევის კოდექსი

ქ.თბილისი

2026წ.

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. კოდექსის რეგულირების საგანი და მიზანი

1. წინამდებარე კოდექსი განსაზღვრავს შპს – საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში (შემდგომ – „უნივერსიტეტი“) ეთიკური ქცევის ძირითად წესებს, ეთიკური დარღვევის განხილვისა და პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების საფუძვლებს, აგრეთვე ეთიკის კომიტეტის სტატუსს, უფლებამოსილებებსა და საქმიანობის წესს.
2. კოდექსის მიზანია უნივერსიტეტში ეთიკური და პროფესიული ქცევის მაღალი სტანდარტების დამკვიდრება, უსაფრთხო, სამართლიანი და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული სასწავლო და სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა, ეთიკური დარღვევების პრევენცია და სავარაუდო დარღვევებზე სამართლიანი, მიუკერძოებელი და ეფექტიანი რეაგირება.

მუხლი 2. კოდექსის მოქმედების სფერო

1. კოდექსი ვრცელდება უნივერსიტეტის სტუდენტებზე, მსმენელებზე, აკადემიურ, მოწვეულ, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალზე, აგრეთვე უნივერსიტეტის საქმიანობაში სხვა სამართლებრივი საფუძვლით ჩართულ პირებზე.
2. კოდექსი ვრცელდება უნივერსიტეტის სივრცეში, მათ შორის უნივერსიტეტის ელექტრონული სისტემებით, საკომუნიკაციო არხებითა და სხვა რესურსებით განხორციელებულ ქცევაზე. ამ კოდექსის მიზნებისთვის, უნივერსიტეტის სივრცეს უთანაბრდება უნივერსიტეტის მიერ მის ფარგლებს გარეთ ორგანიზებული ან თანაორგანიზებული ღონისძიება, აგრეთვე უნივერსიტეტის წარმომადგენლობა ან მისი სახელით შეხვედრებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა.
3. უნივერსიტეტის სივრცის გარეთ, მათ შორის დისტანციურ ან ციფრულ გარემოში, განხორციელებულ ქცევაზე კოდექსი ვრცელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი პირდაპირ და არსებითად უკავშირდება პირის უნივერსიტეტთან ურთიერთობას და გავლენას ახდენს უნივერსიტეტის საქმიანობაზე, სასწავლო ან სამუშაო გარემოზე, საუნივერსიტეტო საზოგადოების წევრთა უფლებებზე, უსაფრთხოებასა და კანონიერ ინტერესებზე.

მუხლი 3. კოდექსის გამოყენება

1. კოდექსი გამოიყენება უნივერსიტეტის დებულებასა და უნივერსიტეტში მოქმედ სხვა შიდა სამართლებრივ აქტებთან ერთობლიობაში.
2. აკადემიური კეთილსინდისიერებისა და კვლევის ეთიკის შესაძლო დარღვევები განიხილება უნივერსიტეტის შესაბამისი სპეციალური აქტებით დადგენილი წესით.
3. თუ პირის ქცევა შეიცავს სხვადასხვა სახის დარღვევის ნიშნებს, შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოები საკითხს განიხილავენ თავიანთი კომპეტენციის

ფარგლებში. დაუშვებელია ერთი და იმავე დარღვევისთვის პასუხისმგებლობის ზომის განმეორებით გამოყენება.

4. კოდექსის გამოყენება ეფუძნება თანასწორობის, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებს. დაუშვებელია კოდექსის გამოყენება პირის დისკრიმინაციის, დევნის ან სხვა არამართლზომიერი პირადი მიზნის მისაღწევად.
5. კოდექსის გამოყენებისას დაუშვებელია საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლების, აკადემიური თავისუფლების, დასაბუთებული კრიტიკის უფლებისა და პირის მიერ საკუთარი უფლებების დაცვის დაუსაბუთებელი შეზღუდვა.

მუხლი 4. ეთიკური დარღვევების პრევენცია

1. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ეთიკური დარღვევების პრევენციასა და ორგანიზაციული ეთიკის კულტურის განვითარებას.
2. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ეთიკის მარეგულირებელი აქტებისა და ეთიკის კომიტეტისთვის მიმართვის წესის ხელმისაწვდომობას, სტუდენტებისა და პერსონალისთვის საინფორმაციო ღონისძიებების ჩატარებას, ეთიკურ საკითხებზე საკონსულტაციო მხარდაჭერასა და ეთიკური რისკების პერიოდულ შეფასებას.

თავი II. ეთიკური ქცევის საერთო წესები

მუხლი 5. ურთიერთპატივისცემა, თანასწორობა და უსაფრთხო გარემო

1. უნივერსიტეტის სტუდენტი, მსმენელი, პერსონალის წევრი ან უნივერსიტეტის საქმიანობაში ჩართული სხვა პირი ვალდებულია სხვა პირებთან ურთიერთობისას პატივი სცეს მათ ღირსებას, უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.
2. დაუშვებელია დისკრიმინაცია, შევიწროება, მათ შორის სექსუალური შევიწროება, სისტემატური ჩაგვრა, დაცინვა, დამცირება, დაშინება, ძალადობა, ძალადობის მუქარა, იძულება ან სხვა სახის არამართლზომიერი ზეწოლა.
3. დაუშვებელია პირის ღირსების, აკადემიური ან პროფესიული რეპუტაციის შელახვის მიზნით წინასწარი შეცნობით ცრუ ინფორმაციის გავრცელება, აგრეთვე სხვის მიერ შესრულებული სამუშაოს საკუთარ დამსახურებად წარმოჩენა ან ამ პირის არსებითი წვლილის განზრახ უგულებელყოფა.
4. ამ მუხლით აკრძალული ქცევა შეიძლება განხორციელდეს ზეპირად, წერილობით, ფიზიკურად, ელექტრონული საშუალებით ან სხვა ნებისმიერი ფორმით.
5. განსხვავებული მოსაზრების გამოხატვა, დასაბუთებული კრიტიკა და აკადემიურ, პროფესიულ ან სტუდენტურ დისკუსიაში მონაწილეობა თავისთავად არ წარმოადგენს ეთიკურ დარღვევას. დაუშვებელია მოსაზრების ან კრიტიკის შეურაცხმყოფელი, დისკრიმინაციული, მუქარის შემცველი ან ძალადობრივი ფორმით გამოხატვა.
6. უნივერსიტეტის სტუდენტი, მსმენელი, პერსონალის წევრი ან უნივერსიტეტის საქმიანობაში ჩართული სხვა პირი ვალდებულია თავისი ქცევით ხელი შეუწყოს უსაფრთხო, თანასწორი და თანამშრომლობაზე დაფუძნებული სასწავლო და სამუშაო გარემოს შექმნასა და შენარჩუნებას.

მუხლი 6. უნივერსიტეტის ქონებისა და რესურსების გამოყენება

1. უნივერსიტეტის სტუდენტი, მსმენელი, პერსონალის წევრი ან უნივერსიტეტის საქმიანობაში ჩართული სხვა პირი ვალდებულია უნივერსიტეტის ქონებასა და ინფრასტრუქტურას მოეპყროს გაფრთხილებით, ხოლო მატერიალური და არამატერიალური რესურსები გამოიყენოს ჯეროვნად, დანიშნულებისამებრ, ეკონომიურად და პასუხისმგებლობით.
2. უნივერსიტეტის ელექტრონული სისტემებითა და ციფრული რესურსებით სარგებლობისას დაცული უნდა იქნეს მათი უსაფრთხოების წესები, მათ შორის მომხმარებლის სახელის, პაროლისა და სხვა საიდენტიფიკაციო მონაცემების კონფიდენციალურობა.
3. დაუშვებელია:

   ა) უნივერსიტეტის ან სხვა პირის ქონების განზრახ დაზიანება, განადგურება, მითვისება ან უნებართვოდ გამოყენება;

   ბ) უნივერსიტეტის ქონების, ელექტრონული სისტემის ან სხვა რესურსის უკანონო საქმიანობისთვის გამოყენება;

   გ) უნივერსიტეტის სივრცის, ქონების ან რესურსის პირადი, კომერციული ან სხვა ქონებრივი სარგებლის მისაღებად გამოყენება შესაბამისი ნებართვის გარეშე;

   დ) ქონების ან რესურსის სხვა პირისთვის უნებართვოდ გადაცემა;

   ე) უნივერსიტეტის საქმიანობის, სასწავლო ან სამუშაო პროცესის განზრახ შეფერხება ან ხელის შეშლა;

   ვ) სხვა პირის ელექტრონულ ანგარიშზე, მოწყობილობასა თუ მონაცემებზე უნებართვო წვდომა ან მათი გამოყენება, საკუთარი ავტორიზაციის მონაცემების მესამე პირისთვის გადაცემა, აგრეთვე უნივერსიტეტის ელექტრონული სისტემის უსაფრთხოების დარღვევა, ასეთი დარღვევის მცდელობა ან ხელშეწყობა;

   ზ) უნივერსიტეტის სივრცის, ქონების, ელექტრონული სისტემების, საკომუნიკაციო არხების, სახელის ან სხვა რესურსის გამოყენება პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტის ან კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ წინასაარჩევნო აგიტაციისთვის, აგრეთვე ამ მიზნით საუნივერსიტეტო საზოგადოების წევრებზე ზემოქმედება.
4. ქონების ან რესურსის დაზიანების, დაკარგვის, არამიზნობრივი გამოყენების, მათზე არაუფლებამოსილი წვდომის ან უსაფრთხოების სხვა ინციდენტის შესახებ პირმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს უნივერსიტეტის შესაბამის უფლებამოსილ პირს ან სტრუქტურულ ერთეულს.

მუხლი 7. კონფიდენციალური ინფორმაცია, პერსონალური მონაცემები და პირადი ცხოვრების დაცვა

1. კონფიდენციალურ ინფორმაციასა და პერსონალურ მონაცემებზე წვდომა, მათი გამოყენება და დამუშავება დასაშვებია მხოლოდ კანონიერი მიზნით, შესაბამისი უფლებამოსილების ფარგლებში და აუცილებელი მოცულობით.

2. დაუშვებელია:
   ა) კონფიდენციალური ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების პირადი ან სხვა არაუფლებამოსილი მიზნით გამოყენება, არაუფლებამოსილი პირისთვის გადაცემა ან გამჟღავნება, აგრეთვე დადგენილი წესის დარღვევით მათი ასლის გადაღება, ჩამოტვირთვა, შენახვა, შეცვლა ან განადგურება;
   ბ) სხვა პირის სახელით მისი თანხმობის ან შესაბამისი უფლებამოსილების გარეშე მოქმედება;
   გ) სხვა პირის საუბრის, შეხვედრის, მეცადინეობის ან სხვა საქმიანობის ჩაწერა, ფოტო- ან ვიდეოგადაღება მისი თანხმობის ან სხვა სამართლებრივი საფუძვლის გარეშე;
   დ) უნებართვოდ მოპოვებული ჩანაწერის, ფოტოს, ვიდეოს ან პერსონალური მონაცემის გამოყენება ან გავრცელება.
3. თუ პირი აღმოაჩენს, რომ მისთვის ხელმისაწვდომია ინფორმაცია ან მონაცემები, რომლებზეც მას წვდომის უფლება არ აქვს, იგი ვალდებულია არ გამოიყენოს, არ შეინახოს და არ გაავრცელოს ისინი, აგრეთვე ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს უნივერსიტეტის შესაბამის უფლებამოსილ პირს ან სტრუქტურულ ერთეულს.
4. კონფიდენციალური ინფორმაციისა და პერსონალური მონაცემების დაცვის ვალდებულება აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, აგრეთვე უნივერსიტეტის საქმიანობაში სხვა სამართლებრივი საფუძვლით ჩართული პირებისთვის ძალაში რჩება უნივერსიტეტთან შრომითი ან სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდეგაც.
5. ეს მუხლი არ ზღუდავს ინფორმაციის კანონით დადგენილი წესით მოპოვებასა და უფლებამოსილი ორგანოსთვის მიწოდებას.

მუხლი 8. დოკუმენტაციისა და ჩანაწერების უტყუარობა და გადაწყვეტილებაზე დაუშვებელი ზემოქმედება

1. უნივერსიტეტში შექმნილ, წარდგენილ ან უნივერსიტეტის სახელით მომზადებულ დოკუმენტსა თუ ჩანაწერში უნდა აისახოს სრული და ზუსტი მონაცემები. უნებლიე შეცდომის აღმოჩენის შემთხვევაში, პირმა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში უნდა უზრუნველყოს მისი გასწორება ან ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს უნივერსიტეტის შესაბამის უფლებამოსილ პირს.
2. დაუშვებელია:
   ა) უნივერსიტეტისთვის წინასწარი შეცნობით ცრუ ინფორმაციის ან ყალბი დოკუმენტის წარდგენა;
   ბ) დოკუმენტის, ჩანაწერის, ხელმოწერის, ელექტრონული მონაცემის, ფოტო- ან ვიდეომასალის გაყალბება, მათში წინასწარი შეცნობით ცრუ ან არასრული ინფორმაციის შეტანა, აგრეთვე დოკუმენტაციისა და ჩანაწერების უნებართვოდ შეცვლა, დამალვა, განადგურება ან უნივერსიტეტის ტერიტორიიდან ან ელექტრონული სისტემიდან უნებართვოდ გატანა;
   გ) სხვა პირის ვინაობის ან სტატუსის გამოყენება უფლების, მომსახურების ან უპირატესობის მისაღებად;
   დ) არსებითი ინფორმაციის შეგნებულად დამალვა უნივერსიტეტის ან სხვა პირის შეცდომაში შეყვანის მიზნით;

ე) შეფასებაზე ან სხვა გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენის მიზნით აკადემიური პერსონალისთვის, გამომცდელისთვის ან გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილე სხვა პირისთვის ფულის, საჩუქრის, მომსახურების ან სხვა სარგებლის შეთავაზება, დაპირება ან გადაცემა;

ვ) შეფასების ან სხვა უპირატესობის მისაღებად პირის მიმართ მუქარა, იძულება ან სხვაგვარი დაუშვებელი ზეწოლა.

3. სასწავლო დავალების, გამოცდისა და სხვა აკადემიური საქმიანობის შესრულებასთან დაკავშირებული არაკეთილსინდისიერი ქცევა განიხილება აკადემიური კეთილსინდისიერების კოდექსით დადგენილი წესით.

თავი III. აკადემიის პერსონალის ეთიკური და პროფესიული ქცევის წესები

მუხლი 9. კეთილსინდისიერება და პროფესიული პასუხისმგებლობა

1. უნივერსიტეტის აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, აგრეთვე უნივერსიტეტის საქმიანობაში სხვა სამართლებრივი საფუძვლით ჩართული პირი (შემდგომ – „პერსონალი“) ვალდებულია დაკისრებული ფუნქციები შეასრულოს კანონიერად, კეთილსინდისიერად, კვალიფიციურად, დროულად და პასუხისმგებლობით.
2. პროფესიული საქმიანობისას პერსონალის წევრი ვალდებულია:

   ა) იმოქმედოს თავისი კომპეტენციისა და უფლებამოსილების ფარგლებში;

   ბ) დაიცვას შესაბამისი პროფესიული და ეთიკური სტანდარტები;

   გ) გადაწყვეტილებები მიიღოს ობიექტურად, მიუკერძოებლად და დადგენილი მოთხოვნების საფუძველზე.
3. პერსონალის წევრმა საკითხი, რომლის გადაწყვეტაც მის კომპეტენციას არ განეკუთვნება, უნდა გადასცეს შესაბამის უფლებამოსილ პირს ან სტრუქტურულ ერთეულს.
4. დაუშვებელია მოტყუება, პირის განზრახ შეცდომაში შეყვანა, უფლებამოსილების ან პროფესიული ავტორიტეტის არამართლზომიერად გამოყენება, პროფესიული მოვალეობის განზრახ არაჯეროვნად შესრულება ან უსაფუძვლოდ გაჭიანურება, აგრეთვე სხვა პირისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებაში განზრახ ხელის შეშლა.

მუხლი 10. ინტერესთა კონფლიქტი

1. ინტერესთა კონფლიქტი არსებობს მაშინ, როდესაც კერძო ინტერესმა შეიძლება გავლენა მოახდინოს პერსონალის წევრის მიერ პროფესიული მოვალეობის ობიექტურად და მიუკერძოებლად შესრულებაზე.
2. კერძო ინტერესი შეიძლება უკავშირდებოდეს პერსონალის წევრის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან სხვა დაკავშირებული პირის პირად, ფინანსურ, ქონებრივ, პროფესიულ, პოლიტიკურ ან სხვა ინტერესს. ინტერესთა კონფლიქტად მიიჩნევა ისეთი გარემოებაც, რომელიც წარმოშობს საფუძვლიან ეჭვს პერსონალის წევრის ობიექტურობასა თუ მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით.

3. ინტერესთა კონფლიქტის არსებობის ან წარმოშობის შესაძლებლობის შემთხვევაში, პერსონალის წევრი ვალდებულია დროულად აცნობოს უნივერსიტეტის შესაბამის უფლებამოსილ პირს, მიაწოდოს საკითხის შესაფასებლად საჭირო სრული ინფორმაცია და გადაწყვეტილების მიღებამდე თავი შეიკავოს შესაბამისი საკითხის განხილვასა და გადაწყვეტაში მონაწილეობისგან. პერსონალის წევრი ვალდებულია შეასრულოს ინტერესთა კონფლიქტის მართვის მიზნით მიღებული გადაწყვეტილება.
4. ინტერესთა კონფლიქტის არსებობა თავისთავად არ წარმოადგენს დარღვევას, თუ პერსონალის წევრმა მის შესახებ დროულად განაცხადა და შეასრულა მისი მართვისთვის დადგენილი მოთხოვნები.
5. ინტერესთა კონფლიქტის განზრახ დამალვა, საჭირო ინფორმაციის შეგნებულად არასრულად მიწოდება ან მიღებული გადაწყვეტილების შეუსრულებლობა წარმოადგენს წინამდებარე კოდექსის დარღვევას.

მუხლი 11. საჩუქარი და სხვა სარგებელი

1. პერსონალის წევრს ეკრძალება პირდაპირ ან ირიბად მოითხოვოს, მიიღოს, შესთავაზოს ან გასცეს საჩუქარი ან სხვა სარგებელი, თუ ეს მიზნად ისახავს:
   ა) სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებაზე, შეფასებაზე ან გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენის მოხდენას;
   ბ) არამართლზომიერი უპირატესობის მოპოვებას.
2. ამ მუხლის მიზნებისთვის, „სხვა სარგებელი“ მოიცავს ნებისმიერ ქონებრივ ან არაქონებრივ სიკეთეს, მათ შორის: მომსახურებას, შეღავათს, ფასდაკლებას, სესხს, დაფინანსებას, აგრეთვე ოფიციალური შეხვედრების ფარგლებს გარეთ შეთავაზებულ სტუმარმასპინძლობას.
3. საგამონაკლისო წესით, დასაშვებია მხოლოდ მცირე ღირებულების (სიმბოლური) საჩუქრის ან საქმიანი სტუმარმასპინძლობის მიღება, თუ იგი:
   ა) არ უკავშირდება მიმდინარე ან მოსალოდნელ ინდივიდუალურ გადაწყვეტილებასა თუ შეფასებას;
   ბ) ატარებს ეპიზოდურ (არასისტემატურ) ხასიათს;
   გ) არ წარმოშობს ინტერესთა კონფლიქტს და არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობასა და უნივერსიტეტის აქტებს.
4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საგამონაკლისო წესის მიუხედავად, პერსონალის წევრს ეკრძალება ნებისმიერი სახის საჩუქრის ან სარგებლის მიღება იმ სტუდენტისგან ან მსმენელისგან, რომლის სწავლების, შეფასების ან ადმინისტრირების პროცესშიც იგი მონაწილეობს.
5. აკრძალული საჩუქრის ან სარგებლის შეთავაზებისას პერსონალის წევრი ვალდებულია უარი თქვას მის მიღებაზე.

მუხლი 12. საჯარო კომუნიკაცია და უნივერსიტეტის სახელის გამოყენება

1. უნივერსიტეტის სახელით საჯარო განცხადების გაკეთება, ოფიციალური პოზიციის გამოხატვა ან სამართლებრივი ან ფინანსური ვალდებულების აღება შეუძლია მხოლოდ საამისოდ უფლებამოსილ პირს.

2. თუ პერსონალის წევრი საჯარო სივრცეში, მათ შორის მასმედიასა თუ სოციალურ ქსელებში, პირადი მოსაზრების გამოხატვისას მიუთითებს უნივერსიტეტთან თავის აკადემიურ ან პროფესიულ კავშირზე, იგი ვალდებულია მკაფიოდ განმარტოს, რომ გამოთქმული პოზიცია წარმოადგენს მის პირად შეხედულებას და არ ასახავს უნივერსიტეტის ოფიციალურ პოზიციას.
3. დაუშვებელია უნივერსიტეტის სახელის, თანამდებობის, სტატუსის ან უნივერსიტეტთან კავშირის გამოყენება არამართლზომიერი სარგებლის მისაღებად.
4. უნივერსიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებული საჯარო კომუნიკაციისას სავალდებულოა კონფიდენციალურობის, პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და საავტორო უფლებების მოთხოვნათა უპირობო დაცვა.
5. ეს მუხლი არ ზღუდავს საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით გარანტირებულ გამოხატვისა და აკადემიურ თავისუფლებას, მათ შორის დასაბუთებული პროფესიული კრიტიკის უფლებას.

მუხლი 13. პერსონალის ურთიერთობა სტუდენტებსა და მსმენელებთან

1. პერსონალის ურთიერთობა სტუდენტებსა და მსმენელებთან უნდა ეფუძნებოდეს პატივისცემას, სამართლიანობას, თანასწორობასა და პროფესიული საზღვრების მკაცრ დაცვას.
2. პერსონალის წევრმა სტუდენტთან ან მსმენელთან ურთიერთობაში უნდა დაიცვას პროფესიული საზღვრები და თავიდან აიცილოს ისეთი ახლო პირადი ურთიერთობა, რომელიც წარმოშობს ინტერესთა კონფლიქტის, ფავორიტიზმის, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ან პროფესიული საზღვრების დარღვევის რეალურ რისკს. ასეთი გარემოების არსებობისას პერსონალის წევრი მოქმედებს ამ კოდექსის მე-10 მუხლით დადგენილი წესით.
3. პერსონალის წევრი ვალდებულია:

   ა) თავისი კომპეტენციის ფარგლებში სტუდენტსა თუ მსმენელს მიაწოდოს ზუსტი, გასაგები და დროული ინფორმაცია სასწავლო და კვლევითი პროცესების, აკადემიურ მომსახურებასთან დაკავშირებული საკითხების, აგრეთვე მათი უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ;

   ბ) სტუდენტებისა თუ მსმენელების მიმართ გამოიჩინოს თანაბარი, ობიექტური და მიუკერძოებელი დამოკიდებულება;

   გ) პატივი სცეს სტუდენტებისა თუ მსმენელების ღირსებას, პირად ცხოვრებასა და პერსონალურ მონაცემთა კონფიდენციალურობას;

   დ) სტუდენტსა თუ მსმენელს არ შეუშალოს ხელი განსხვავებული მოსაზრების გამოხატვაში, უნივერსიტეტის უფლებამოსილი ორგანოსადმი მიმართვასა და მისთვის მინიჭებული სხვა უფლებების განხორციელებაში.
4. პერსონალის წევრის მხრიდან დაუშვებელია:

   ა) სტუდენტისა თუ მსმენელის მიმართ მუქარა, დაშინება, დამცირება, იძულება ან ნებისმიერი სხვაგვარი არამართლზომიერი ზეწოლა;

   ბ) სტუდენტის ან მსმენელის დაყოლიება ან დაყოლიების მცდელობა, მონაწილეობა მიიღოს მის პირად, კომერციულ, პოლიტიკურ ან სხვა ისეთ საქმიანობაში, რომელიც არ უკავშირდება სასწავლო ან კვლევით პროცესს ან უნივერსიტეტის საქმიანობას.

მუხლი 14. სწავლებისა და შეფასების ეთიკა

1. აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა სწავლება და შეფასება უნდა განახორციელონ შესაბამისი საგანმანათლებლო ან სასწავლო პროგრამის, სასწავლო კურსის სილაბუსისა და აკადემიის შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.
2. აკადემიური და მოწვეული პერსონალის წევრი ვალდებულია:
   ა) სასწავლო კურსის დაწყებისას სტუდენტებსა და მსმენელებს გააცნოს კურსის მოცულობა, სწავლების მეთოდები, შეფასების ფორმები, კომპონენტები და კრიტერიუმები;
   ბ) შეფასება განახორციელოს წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე, ობიექტურად და მიუკერძოებლად;
   გ) სტუდენტს ან მსმენელს განუმარტოს მიღებული შეფასება და მიაწოდოს დასაბუთებული და კონსტრუქციული უკუკავშირი;
   დ) დაიცვას შეფასების შედეგებისა და სხვა ინდივიდუალური აკადემიური ინფორმაციის კონფიდენციალურობა.
3. დაუშვებელია შეფასების გამოყენება სტუდენტის ან მსმენელის დასჯის, დაშინების, იძულების, სხვა არამართლზომიერი ზეწოლის ან მისი შეხედულებების, პიროვნული თვისებებისა თუ პერსონალის მიმართ გამოთქმული დასაბუთებული კრიტიკის გამო.

მუხლი 15. ხელმძღვანელი პირის ეთიკური ვალდებულებები

1. ხელმძღვანელი პირი ვალდებულია მართვის უფლებამოსილება განახორციელოს სამართლიანად, მიუკერძოებლად და მის დაქვემდებარებაში მყოფი პირების ღირსებისა და უფლებების პატივისცემით.
2. ხელმძღვანელი პირი ვალდებულია:
   ა) მოვალეობები და სამუშაო დავალებები გაანაწილოს თანამშრომელთა ფუნქციების, კვალიფიკაციისა და სამუშაო დატვირთვის გათვალისწინებით;
   ბ) თანამშრომელს მიაწოდოს მოვალეობის შესასრულებლად საჭირო ინფორმაცია და გაუწიოს სათანადო მხარდაჭერა;
   გ) თანამშრომლის საქმიანობა შეაფასოს ობიექტური და წინასწარ ცნობილი კრიტერიუმების მიხედვით;
   დ) თანამშრომელს მისცეს საკუთარი პოზიციისა და დასაბუთებული მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა;
   ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში რეაგირება მოახდინოს მისთვის ცნობილ სავარაუდო ეთიკურ დარღვევაზე ან ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიაწოდოს შესაბამის უფლებამოსილ პირს ან სტრუქტურულ ერთეულს.
3. ხელმძღვანელი პირის მიერ დაუშვებელია:
   ა) თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენება საკუთარი ან მესამე პირისთვის არამართლზომიერი სარგებლის ან უპირატესობის მოსაპოვებლად;
   ბ) თანამშრომლისთვის უკანონო ან არაეთიკური დავალების მიცემა, აგრეთვე მასზე ზეწოლა ასეთი ქმედების განხორციელების მიზნით;

გ) თანამშრომლისთვის მისი ფუნქციებისა და კვალიფიკაციის შეუსაბამო დავალების მიცემა, გარდა დასაბუთებული ორგანიზაციული საჭიროებისა;

დ) ფავორიტიზმი, ნეპოტიზმი ან პირადი დამოკიდებულებით განპირობებული გადაწყვეტილების მიღება;

ე) დასაქმებასთან დაკავშირებული უფლებამოსილების გამოყენება თანამშრომლის დაშინების, დასჯის ან სხვა არამართლზომიერი ზეწოლის მიზნით.

4. ხელმძღვანელი პირის მითითება ან დავალება თანამშრომელს არ ათავისუფლებს აშკარად უკანონო ან არაეთიკური ქმედების ჩადენისთვის დადგენილი პასუხისმგებლობისგან.

მუხლი 16. ადმინისტრაციული მომსახურების ეთიკა

1. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი სტუდენტებს, მსმენელებს, უნივერსიტეტის პერსონალსა და სხვა პირებს მომსახურებას უწევს კეთილსინდისიერად, მიუკერძოებლად, დროულად და თავაზიანად.
2. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი მომსახურების გაწევისას ვალდებულია:

   ა) პირს მიაწოდოს ზუსტი, სრული და გასაგები ინფორმაცია ადმინისტრაციული მომსახურების საკითხებზე;

   ბ) მომსახურება გასწიოს დადგენილი პროცედურებისა და ვადების დაცვით;

   გ) არ შექმნას ხელოვნური ან უსაფუძვლო ადმინისტრაციული დაბრკოლებები;

   დ) პირადი, ოჯახური, პროფესიული ან სხვა კავშირის საფუძველზე არ მიანიჭოს პირს დაუსაბუთებელი უპირატესობა;

   ე) დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია და პერსონალური მონაცემები.
3. თუ საკითხის გადაწყვეტა თანამშრომლის კომპეტენციას არ განეკუთვნება, იგი პირს აწვდის ინფორმაციას შესაბამისი უფლებამოსილი პირის ან სტრუქტურული ერთეულის შესახებ.
4. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი არ აკმაყოფილებს პირის მოთხოვნას, თუ მისი დაკმაყოფილება ეწინააღმდეგება კანონმდებლობას, უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივ აქტებს ან არღვევს სხვა პირის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. ასეთ შემთხვევაში პირს ეცნობება უარის საფუძველი.

თავი IV. სტუდენტებისა და მსმენელების ეთიკური ქცევის წესები

მუხლი 17. სტუდენტისა და მსმენელის ძირითადი მოვალეობები

1. სტუდენტი და მსმენელი ვალდებულნი არიან თავიანთი უფლებები განახორციელონ კეთილსინდისიერად და საუნივერსიტეტო საზოგადოების სხვა წევრთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების პატივისცემით.
2. სტუდენტი და მსმენელი ვალდებულნი არიან:

   ა) დაიცვან უნივერსიტეტში მოქმედი წესები და მათთვის კანონიერად დადგენილი მოთხოვნები;

   ბ) პატივი სცენ პერსონალს, სხვა სტუდენტებს, მსმენელებსა და უნივერსიტეტის საქმიანობაში ჩართულ პირებს;

გ) ხელი არ შეუშალონ სხვა პირის სწავლას, საქმიანობას ან უნივერსიტეტის ღონისძიებაში მონაწილეობას;

დ) პასუხისმგებლობით გამოიყენონ უნივერსიტეტის ქონება და რესურსები;

ე) შეასრულონ უნივერსიტეტის უფლებამოსილი პირის მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიცემული კანონიერი მითითება.

3. სტუდენტი ან მსმენელი ვალდებულია უნივერსიტეტის შესაბამის პირს ან სტრუქტურულ ერთეულს დაუყოვნებლივ აცნობოს მისთვის ცნობილი რეალური და უშუალო საფრთხის შესახებ, რომელიც ემუქრება პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან უსაფრთხოებას.

მუხლი 18. სასწავლო პროცესში ქცევა

1. სტუდენტი და მსმენელი ვალდებულნი არიან სასწავლო პროცესში მონაწილეობდნენ სხვა პირთა სწავლის, სწავლებისა და განსხვავებული მოსაზრების გამოხატვის უფლების პატივისცემით.
2. დაუშვებელია:

   ა) მეცადინეობის, გამოცდის, კონსულტაციის, პრეზენტაციის ან სხვა სასწავლო საქმიანობის განზრახ ჩაშლა ან შეფერხება;

   ბ) სასწავლო პროცესის მონაწილეთა მიმართ მუქარა, აგრესიული ქცევა ან შეურაცხყოფა;

   გ) ტექნიკური მოწყობილობის ისეთი გამოყენება, რომელიც ხელს უშლის სასწავლო პროცესს;

   დ) სასწავლო სივრცის ან მასში არსებული აღჭურვილობის დადგენილი წესის ან დანიშნულების საწინააღმდეგოდ გამოყენება;

   ე) სასწავლო პროცესის დროს აკადემიური პერსონალის ან სხვა უფლებამოსილი პირის კანონიერი მითითების განზრახ შეუსრულებლობა.

მუხლი 19. წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა

1. სტუდენტი და მსმენელი ვალდებულნი არიან უნივერსიტეტის სივრცეში და უნივერსიტეტის ღონისძიებაზე დაიცვან უსაფრთხოებისა და წესრიგის მოთხოვნები.
2. დაუშვებელია:

   ა) ფიზიკური დაპირისპირება ან სხვა პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა თუ უსაფრთხოებისთვის საფრთხის შექმნა;

   ბ) უნივერსიტეტის სივრცეში ან უნივერსიტეტის ღონისძიებაზე ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპული ნივთიერების ან მათი ანალოგის უკანონო ფლობა, მოხმარება, გადაცემა ან გავრცელება;

   გ) უნივერსიტეტის სივრცეში ან უნივერსიტეტის ღონისძიებაზე იარაღის, ასაფეთქებელი ან სხვა პირის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი საგნის შეტანა, ტარება ან გამოყენება;

   დ) ალკოჰოლის ან სხვა ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ისეთი ქცევა, რომელიც არღვევს წესრიგს, საფრთხეს უქმნის სხვა პირს ან ხელს უშლის უნივერსიტეტის საქმიანობას;

ე) უსაფრთხოების, საგანგებო ვითარებაში მოქმედების ან უნივერსიტეტის სივრცეში დაშვების წესის დარღვევა.

3. სტუდენტი და მსმენელი ვალდებულნი არიან შეასრულონ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული კანონიერი მითითება და, საჭიროების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ დატოვონ შესაბამისი სივრცე.

მუხლი 20. სტუდენტურ საქმიანობაში მონაწილეობა და წარმომადგენლობა

1. სტუდენტს უფლება აქვს თანასწორობისა და თავისუფალი არჩევანის საფუძველზე მონაწილეობა მიიღოს სტუდენტურ გაერთიანებაში, წარმომადგენლობით საქმიანობაში, უნივერსიტეტის მართვაში, ღონისძიებასა და სხვა კანონიერ სტუდენტურ საქმიანობაში.
2. დაუშვებელია სტუდენტის იძულება, დაშინება ან მისთვის ხელის შეშლა სტუდენტურ საქმიანობაში მონაწილეობის ან მონაწილეობაზე უარის თქმის გამო.
3. სტუდენტი, რომელიც წარმოადგენს უნივერსიტეტს ან სტუდენტთა ჯგუფს, ვალდებულია:
   ა) იმოქმედოს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში;
   ბ) კეთილსინდისიერად წარმოადგინოს შესაბამისი პოზიცია;
   გ) არ გამოიყენოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება პირადი უპირატესობის მოსაპოვებლად;
   დ) დაიცვას მისთვის ცნობილი კონფიდენციალური ინფორმაცია;
   ე) შესაბამის საკითხთან მიმართებით პირადი ინტერესის არსებობის შემთხვევაში ამის შესახებ აცნობოს შესაბამის ორგანოს და არ მიიღოს მონაწილეობა ამ საკითხის განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაში.
4. უნივერსიტეტის სახელის, სიმბოლოს ან რესურსის სტუდენტური საქმიანობისთვის გამოყენება დასაშვებია უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესით.
5. სტუდენტის ან სტუდენტთა ჯგუფის მოსაზრება არ მიიჩნევა უნივერსიტეტის ოფიციალურ პოზიციად, თუ შესაბამისი უფლებამოსილება პირდაპირ არ არის მინიჭებული.

თავი V. ეთიკის კომიტეტი

მუხლი 21. კომიტეტის სტატუსი

1. კომიტეტი არის უნივერსიტეტის მუდმივმოქმედი კოლეგიური ორგანო, რომელიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავს ეთიკური ნორმების სავარაუდო დარღვევებს.
2. კომიტეტი საქმიანობას ახორციელებს კანონიერების, სამართლიანობის, მიუკერძოებლობის, ობიექტურობის, კონფიდენციალურობის, თანასწორობის, პროპორციულობის, კოლეგიალობის, დამოუკიდებლობისა და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პრინციპების დაცვით.

3. კომიტეტის მიზანია უნივერსიტეტში ეთიკური ქცევის სტანდარტების დაცვის, ეთიკური დარღვევების პრევენციისა და ეთიკური კულტურის განვითარების ხელშეწყობა.
4. დაუშვებელია კომიტეტის საქმიანობაში ჩარევა, მის წევრზე ზეწოლა ან გადაწყვეტილების მიღების პროცესზე არამართლზომიერი ზემოქმედება.
5. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს კომიტეტის საქმიანობისთვის აუცილებელ ორგანიზაციულ, ადმინისტრაციულ და ტექნიკურ მხარდაჭერას.

მუხლი 22. კომიტეტის კომპეტენცია და უფლებამოსილებები

1. კომიტეტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში:
   ა) განიხილავს უნივერსიტეტის ეთიკისა და ქცევის მარეგულირებელი აქტებით განსაზღვრული ეთიკური ნორმების სავარაუდო დარღვევის შესახებ განცხადებებს;
   ბ) ამოწმებს განცხადების დასაშვებობას და საკმარისი საფუძვლის არსებობისას იწყებს საქმის განხილვას;
   გ) გამოითხოვს საქმისთვის საჭირო ინფორმაციასა და დოკუმენტებს, იღებს განმარტებებს და ისმენს საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მქონე პირებს;
   დ) აფასებს წარმოდგენილ მტკიცებულებებს და იღებს გადაწყვეტილებას ეთიკური დარღვევის არსებობის ან არარსებობის შესახებ;
   ე) დარღვევის დადგენის შემთხვევაში ამ კოდექსით დადგენილი წესით რექტორს წარუდგენს გადაწყვეტილებასა და რეკომენდაციას შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომის ან რეაგირების სხვა ღონისძიების გამოყენების შესახებ;
   ვ) ახორციელებს ამ კოდექსით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.
2. კომიტეტი შეისწავლის დარღვევების გამომწვევ სისტემურ მიზეზებს და გასცემს რეკომენდაციებს დარღვევის შედეგების აღმოფხვრის, მსგავსი შემთხვევების პრევენციისა და უნივერსიტეტის შიდა აქტებისა და პრაქტიკის გაუმჯობესების შესახებ.

მუხლი 23. კომიტეტის შემადგენლობა

1. კომიტეტი შედგება ხუთი წევრისგან, რომლებსაც რექტორის წარდგინებით სამი წლის ვადით ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო.
2. კომიტეტის შემადგენლობა მთლიანობაში უნდა უზრუნველყოფდეს ეთიკის, სამართლის, ადამიანის უფლებების ან სხვა შესაბამის სფეროში სათანადო ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირების მონაწილეობას.
3. ერთი და იგივე პირი კომიტეტის წევრად შეიძლება დამტკიცდეს ზედიზედ არაუმეტეს ორჯერ.
4. კომიტეტის წევრს უფლებამოსილება ვადამდე უწყდება პირადი განცხადების, წევრობისთვის დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობის ან გარდაცვალების შემთხვევაში.
5. წარმომადგენლობითი საბჭო უფლებამოსილია წევრს ვადამდე შეუწყვიტოს უფლებამოსილება მოვალეობის უხეში ან სისტემატური დარღვევის შემთხვევაში.

გადაწყვეტილების მიღებამდე წევრს ეძლევა საკუთარი პოზიციის წარდგენის შესაძლებლობა.

6. წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში წარმომადგენლობითი საბჭო იმავე წესით ამტკიცებს ახალ წევრს უფლებამოსილების დარჩენილი ვადით. ახალი წევრის დამტკიცებამდე კომიტეტი აგრძელებს საქმიანობას, თუ მას ჰყავს არანაკლებ სამი მოქმედი წევრი.

მუხლი 24. კომიტეტის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და მდივანი

1. პირველ სხდომაზე კომიტეტი ღია კენჭისყრით ირჩევს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილესა და მდივანს.
2. კომიტეტის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს კომიტეტის საქმიანობას, იწვევს და წარმართავს სხდომებს, უზრუნველყოფს საქმეთა განხილვის ორგანიზებას, ხელს აწერს კომიტეტის სხდომის ოქმებსა და გადაწყვეტილებებს და წარმოადგენს კომიტეტს.
3. თავმჯდომარის არყოფნის, თვითაცილების ან უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში მის უფლებამოსილებას ახორციელებს თავმჯდომარის მოადგილე.
4. კომიტეტის ორგანიზაციულ და ადმინისტრაციულ საქმიანობას უზრუნველყოფს კომიტეტის მდივანი.
5. კომიტეტის მდივანი:

   ა) ამზადებს და აწარმოებს კომიტეტის სხდომის ოქმებს;

   ბ) უზრუნველყოფს სხდომასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის ორგანიზებასა და დაცვას;

   გ) ეხმარება კომიტეტის თავმჯდომარესა და თავმჯდომარის მოადგილეს ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტაში;

   დ) უზრუნველყოფს კომიტეტის წევრების ინფორმირებას სხდომის დროის, ადგილისა და დღის წესრიგის შესახებ.
6. კომიტეტის მდივანი ვალდებულია სხდომის ჩატარებამდე არანაკლებ 3 კალენდარული დღით, ხოლო გადაუდებელ შემთხვევაში – არანაკლებ 24 საათით ადრე აცნობოს კომიტეტის წევრებს სხდომის დრო, ადგილი, ფორმატი (ფიზიკური ან დისტანციური) და დღის წესრიგის პროექტი.

მუხლი 25. კომიტეტის წევრის მოვალეობები და ინტერესთა კონფლიქტი

1. კომიტეტის წევრი უფლებამოსილებას ახორციელებს დამოუკიდებლად, კეთილსინდისიერად და მიუკერძოებლად, პირადად მონაწილეობს კომიტეტის საქმიანობაში და იცავს მისთვის ცნობილ კონფიდენციალურ ინფორმაციას.
2. წევრი უფლებამოსილების დაწყებისას, შემდგომ ყოველწლიურად და გარემოებების ცვლილებისას წარადგენს ინტერესთა კონფლიქტის დეკლარაციას.
3. კონკრეტულ საქმესთან მიმართებით ინტერესთა კონფლიქტის ან მიუკერძოებლობის მიმართ ეჭვის გამომწვევი გარემოების არსებობისას წევრი დაუყოვნებლივ აცნობებს კომიტეტს და არ მონაწილეობს საქმის განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაში.

4. თუ წევრმა თვითაცილება არ განაცხადა, მისი აცილების საკითხს კომიტეტი წყვეტს ამ წევრის მონაწილეობის გარეშე. მიღებული გადაწყვეტილება აისახება სხდომის ოქმში.

მუხლი 26. კომიტეტის სხდომა და გადაწყვეტილების მიღება

1. კომიტეტის პირველი სხდომა ინიშნება მისი დამტკიცებიდან არაუგვიანეს 7 კალენდარული დღისა.
2. კომიტეტი იკრიბება საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ კვარტალში ერთხელ.
3. სხდომას იწვევს კომიტეტის თავმჯდომარე საკუთარი ინიციატივით ან არანაკლებ სამი წევრის მოთხოვნით.
4. კომიტეტის სხდომა დახურულია და უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კონკრეტული საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის უფლებამოსილების მქონე არანაკლებ სამი წევრი.
5. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. კომიტეტის წევრი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს კენჭისყრაში და არ სარგებლობს ხმის მიცემისგან თავის შეკავების უფლებით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა.
6. კომიტეტის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით სხდომა შეიძლება ჩატარდეს ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით. ასეთ შემთხვევაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს მონაწილეთა იდენტიფიცირება, უსაფრთხო კომუნიკაცია და სხდომაში სრულფასოვანი მონაწილეობა.
7. კომიტეტის სხდომაზე დგება ოქმი, რომელშიც აისახება სხდომის მონაწილეები, განხილული საკითხები, აცილებისა და თვითაცილების შემთხვევები, კენჭისყრის შედეგები და მიღებული გადაწყვეტილება. ოქმს ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 27. კომიტეტის საქმიანობის წლიური ანგარიში

1. კომიტეტი ყოველი კალენდარული წლის დასრულების შემდეგ ამზადებს საქმიანობის წლიურ ანგარიშს და მომდევნო წლის 1 მარტამდე წარუდგენს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
2. ანგარიში მოიცავს განზოგადებულ ინფორმაციას ჩატარებული სხდომების, მიღებული და განხილული განცხადებების, განხილვის შედეგების, დადგენილი ვადების დაცვის, გაცემული რეკომენდაციებისა და მათზე რეაგირების შესახებ, აგრეთვე გამოვლენილ სისტემურ რისკებსა და მათი აღმოფხვრის წინადადებებს.
3. ანგარიში მზადდება პერსონალური მონაცემებისა და კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების გარეშე და წარმომადგენლობითი საბჭოსთვის წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.
4. წარმომადგენლობითი საბჭო განიხილავს ანგარიშში ასახულ სისტემურ საკითხებსა და რეკომენდაციებს და უზრუნველყოფს შესაბამის რეაგირებას.

თავი VI. ეთიკური დარღვევის განხილვის წესი

მუხლი 28. განცხადების წარდგენა

1. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს კომიტეტს მიმართოს ეთიკური ნორმის შესაძლო დარღვევის შესახებ. განცხადება შეიძლება წარდგენილ იქნეს კომიტეტის ელექტრონული ფოსტით, უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული ელექტრონული ფორმით ან უნივერსიტეტის საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის მეშვეობით.
2. განცხადებაში, შესაძლებლობის ფარგლებში, მიეთითება განმცხადებლის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია, პირი, რომლის ქცევაც განიხილება, შესაძლო დარღვევის გარემოებები და არსებული მტკიცებულებები.
3. ინფორმაციის არასრულად წარდგენა არ შეიძლება გახდეს განცხადების განხილვაზე უარის თქმის ავტომატური საფუძველი. ანონიმური განცხადება განიხილება, თუ იგი შეიცავს შესაძლო დარღვევის შესამოწმებლად საკმარის კონკრეტულ ინფორმაციას.
4. განცხადება უნდა ეფუძნებოდეს შესაძლო ეთიკური დარღვევის არსებობის კეთილსინდისიერ და გონივრულ ვარაუდს. დარღვევის დაუდასტურებლობა თავისთავად არ ნიშნავს, რომ განცხადება არაკეთილსინდისიერად იყო წარდგენილი.
5. უნივერსიტეტის ეთიკის მარეგულირებელი აქტების მოქმედების სფეროში მოქცეული პირის მიერ შეგნებულად ცრუ ინფორმაციის ან ყალბი მტკიცებულების წარდგენა ეთიკური დარღვევაა.
6. უნივერსიტეტი ოფიციალურ ვებგვერდზე უზრუნველყოფს კომიტეტისთვის მიმართვის წესის, საკონტაქტო მონაცემებისა და შესაბამისი ფორმის ხელმისაწვდომობას.

მუხლი 29. განცხადების რეგისტრაცია

1. კომიტეტისთვის წარდგენილი განცხადება მიღებისთანავე რეგისტრირდება სპეციალურ რეესტრში და ენიჭება სარეგისტრაციო ნომერი.
2. რეესტრში აისახება განცხადების მიღების თარიღი, სარეგისტრაციო ნომერი, განმცხადებლის მონაცემები, გარდა ანონიმური განცხადებისა, განცხადების ზოგადი შინაარსი, განხილვის მიმდინარეობა და შედეგი, აგრეთვე გაცემულ რეკომენდაციაზე რეაგირების შესახებ ინფორმაცია.
3. რეესტრს აწარმოებს კომიტეტის მდივანი და უზრუნველყოფს მასში დაცული მონაცემების უსაფრთხოებას. რეესტრში შეტანილი ინფორმაცია გამოიყენება მხოლოდ საქმისწარმოების, ვადების კონტროლის, სტატისტიკისა და ანგარიშგების მიზნით.

მუხლი 30. განცხადების დასაშვებობის შემოწმება

1. კომიტეტის თავმჯდომარე განცხადების რეგისტრაციიდან არაუგვიანეს ხუთი სამუშაო დღისა ამოწმებს, განეკუთვნება თუ არა საკითხი კომიტეტის კომპეტენციას და შეიცავს თუ არა განცხადება შესაძლო ეთიკური დარღვევის ნიშნებსა და მისი განხილვისთვის საკმარის ინფორმაციას.

2. დამატებითი ინფორმაციის საჭიროების შემთხვევაში თავმჯდომარე განმცხადებელს მის წარსადგენად განუსაზღვრავს არაუმეტეს ხუთი სამუშაო დღის ვადას. ამ პერიოდში დასაშვებობის შემოწმების ვადის მიმდინარეობა ჩერდება.
3. განცხადების დასაშვებად ცნობის შემთხვევაში თავმჯდომარე მას არსებითად განსახილველად გადასცემს კომიტეტს. თუ საკითხი კომიტეტის კომპეტენციას არ განეკუთვნება, თავმჯდომარე განცხადებას გადასცემს უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს.
4. თავმჯდომარე უარს ამბობს განცხადების არსებით განხილვაზე, თუ იგი არ შეიცავს შესაძლო ეთიკური დარღვევის ნიშნებს, არსებული ინფორმაციით შეუძლებელია საქმის გარემოებების შემოწმება ან იმავე საკითხზე კომიტეტს უკვე მიღებული აქვს გადაწყვეტილება და ახალი გარემოება არ გამოვლენილა.
5. იმავე საკითხთან დაკავშირებული სხვა წარმოების მიმდინარეობა განცხადების განხილვას არ გამორიცხავს. თავმჯდომარე უფლებამოსილია შეაჩეროს განხილვა, თუ საქმის გადაწყვეტა არსებითად არის დამოკიდებული სხვა წარმოების შედეგზე.
6. განცხადების განხილვაზე უარის თქმის, სხვა სტრუქტურული ერთეულისთვის გადაცემის ან განხილვის შეჩერების შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილება განმცხადებელს ეცნობება მიღებიდან სამი სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 31. კონფიდენციალურობა და პერსონალური მონაცემების დაცვა

1. კომიტეტი უზრუნველყოფს განცხადებაში მოცემული ინფორმაციის, საქმის მასალების, საქმის მონაწილეთა ვინაობისა და განხილვის პროცესში მიღებული სხვა ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვას.
2. საქმის განხილვის პროცესში მიღებული ინფორმაცია გამოიყენება მხოლოდ შესაძლო ეთიკური დარღვევის შესწავლის, საქმის სამართლიანი განხილვისა და შესაბამისი რეაგირების მიზნით.
3. საქმის მონაწილე პირის ვინაობა ან მასთან დაკავშირებული ინფორმაცია მისი თანხმობის გარეშე შეიძლება გამჟღავნდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რაც აუცილებელია საქმის ობიექტური განხილვისთვის, დაცვის უფლების უზრუნველსაყოფად, გადაწყვეტილების აღსასრულებლად ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში. პირს წინასწარ ეცნობება ინფორმაციის შესაძლო გამჟღავნების შესახებ, თუ ეს საქმის განხილვას ხელს არ შეუშლის.
4. პერსონალური მონაცემები მუშავდება მხოლოდ აუცილებელი მოცულობით. კომიტეტის წევრები, საქმის მონაწილეები და განხილვაში ჩართული სხვა პირები ვალდებული არიან დაიცვან მათთვის ცნობილი კონფიდენციალური ინფორმაცია საქმის განხილვის დასრულების შემდეგაც.
5. კონფიდენციალურობის ვალდებულება არ ზღუდავს პირის უფლებას მიმართოს წარმომადგენელს, ადვოკატს, სასამართლოს ან სხვა უფლებამოსილ ორგანოს. კონფიდენციალური ინფორმაციის არაუფლებამოსილი გამჟღავნება დამოუკიდებელი ეთიკური დარღვევაა.

მუხლი 32. არახელსაყრელი მოპყრობისა და დევნის დაუშვებლობა

1. დაუშვებელია პირის მიმართ არახელსაყრელი მოპყრობა, დევნა, შევიწროება ან დისკრიმინაცია კომიტეტისთვის კეთილსინდისიერად მიმართვის, ინფორმაციის ან მტკიცებულების წარდგენის, საქმის განხილვაში მონაწილეობის ან კომიტეტთან თანამშრომლობის გამო.
2. არახელსაყრელ მოპყრობად, მათ შორის, მიიჩნევა დაუსაბუთებელი დისციპლინური წარმოების დაწყება, შრომითი ან სასწავლო პირობების გაუარესება, დაწინაურების, შეფასების ან განვითარების შესაძლებლობის შეზღუდვა, მუქარა, დაშინება, იზოლირება ან სხვა ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს პირის დასჯას ან კომიტეტთან თანამშრომლობისთვის ხელის შეშლას.
3. არახელსაყრელი მოპყრობის ან დევნის განხორციელება დამოუკიდებელი ეთიკური დარღვევაა.
4. ამ მუხლით გათვალისწინებული დაცვა პირს არ ათავისუფლებს შეგნებულად ცრუ ინფორმაციის ან ყალბი მტკიცებულების წარდგენისთვის პასუხისმგებლობისგან. ეთიკური დარღვევის დაუდასტურებლობა თავისთავად არ ნიშნავს, რომ განცხადება არაკეთილსინდისიერად იყო წარდგენილი.

მუხლი 33. დროებითი დამცავი ღონისძიებები

1. საქმის განხილვის პერიოდში, თუ არსებობს პირის უსაფრთხოებისთვის, საქმის ობიექტური განხილვისთვის ან მტკიცებულებების დაცულობისთვის რეალური საფრთხე, კომიტეტი უფლებამოსილია რექტორს მიმართოს დროებითი დამცავი ღონისძიების გამოყენების რეკომენდაციით.
2. დროებითი დამცავი ღონისძიება შეიძლება მოიცავდეს საქმის მონაწილე პირებს შორის კომუნიკაციის შეზღუდვას, სასწავლო ან სამუშაო პროცესის დროებით ორგანიზაციულ ცვლილებას, საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციისა და დოკუმენტების დაცვას ან პირისთვის შესაბამისი მხარდაჭერის შეთავაზებას.
3. დროებითი დამცავი ღონისძიება არ წარმოადგენს პასუხისმგებლობის ზომას და გამოიყენება მხოლოდ საფრთხის არსებობის პერიოდში.
4. ღონისძიების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას რექტორი იღებს კომიტეტის რეკომენდაციის მიღებიდან სამი სამუშაო დღის ვადაში, ხოლო გადაუდებელ შემთხვევაში - დაუყოვნებლივ.
5. პირს, რომლის უფლებასაც დროებითი დამცავი ღონისძიება ეხება, უფლება აქვს რექტორს მიმართოს მისი შეცვლის ან გაუქმების მოთხოვნით.

მუხლი 34. საქმის არსებითი განხილვის დაწყება და მონაწილეთა უფლებები

1. საქმის არსებითი განხილვა იწყება თავმჯდომარის მიერ განცხადების კომიტეტისთვის გადაცემის დღიდან.
2. განხილვის დაწყების შესახებ სამი სამუშაო დღის ვადაში ეცნობებათ განმცხადებელსა და პირს, რომლის ქცევაც განიხილება. ამ უკანასკნელს მიეწოდება ინფორმაცია

სავარაუდო დარღვევის შესახებ და გადაეცემა განცხადება და შესაბამისი მასალები საკუთარი პოზიციის დაცვისთვის აუცილებელი მოცულობით.

3. პირს, რომლის ქცევაც განიხილება, ახსნა-განმარტებისა და მტკიცებულებების წარსადგენად ეძლევა ხუთი სამუშაო დღე. დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე თავმჯდომარეს შეუძლია ეს ვადა გააგრძელოს არაუმეტეს ხუთი სამუშაო დღით.
4. განმცხადებელსა და პირს, რომლის ქცევაც განიხილება, უფლება აქვთ წარადგინონ ახსნა-განმარტებები და მტკიცებულებები, მიუთითონ საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მქონე პირები, გაეცნონ საკუთარი ინტერესების დასაცავად აუცილებელ მასალებს, მოითხოვონ კომიტეტის წევრის აცილება და ისარგებლონ წარმომადგენლის დახმარებით.
5. საქმის მონაწილეები ვალდებული არიან კეთილსინდისიერად ითანამშრომლონ კომიტეტთან, დაიცვან კონფიდენციალურობა და თავი შეიკავონ განხილვაში მონაწილე პირებზე ზეწოლისგან. ახსნა-განმარტების ან მტკიცებულების წარუდგენლობა არ აჩერებს საქმის განხილვას.

მუხლი 35. საქმის განხილვა

1. კომიტეტი საქმეს განიხილავს კოლეგიურად, მიუკერძოებლად და კონფიდენციალურობის დაცვით. მონაწილეებს ეძლევათ საკუთარი პოზიციის წარდგენის თანაბარი შესაძლებლობა.
2. კომიტეტი შეისწავლის წარმოდგენილ მასალებს, საჭიროების შემთხვევაში გამოითხოვს დამატებით ინფორმაციასა და დოკუმენტებს და ისმენს საქმის განხილვასთან დაკავშირებულ პირებს.
3. კომიტეტი მტკიცებულებებს აფასებს მათი სანდოობის, საქმისადმი შესაბამისობისა და ერთობლიობის გათვალისწინებით. არცერთ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ განსაზღვრული უპირატესი ძალა.
4. ეთიკური დარღვევა დადგენილად მიიჩნევა, თუ სანდო მტკიცებულებების ერთობლიობა ქმნის დასაბუთებულ საფუძველს ასეთი დასკვნისთვის. გადაწყვეტილება არ შეიძლება დაეფუძნოს მხოლოდ ვარაუდს ან დაუდასტურებელ ინფორმაციას.
5. კომიტეტი საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს საქმის არსებითი განხილვის დაწყებიდან არაუგვიანეს 30 სამუშაო დღისა. საქმის სირთულის შემთხვევაში ეს ვადა დასაბუთებული გადაწყვეტილებით შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 15 სამუშაო დღით, რის შესახებაც ეცნობებათ საქმის მონაწილეებს. საქმის განხილვის შეჩერების პერიოდი ამ ვადაში არ ითვლება.
6. განმცხადებლის მიერ განცხადების უკან გახმობა არ აბრკოლებს კომიტეტს საქმის განხილვის გაგრძელებას, თუ ეს აუცილებელია სხვა პირთა უფლებების, უსაფრთხოების ან უნივერსიტეტის ინტერესების დასაცავად.

მუხლი 36. კომიტეტის გადაწყვეტილება, მისი მიღების წესი და შინაარსი

1. საქმის განხილვის დასრულების შემდეგ კომიტეტი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას ეთიკური დარღვევის არსებობის ან არარსებობის შესახებ.

2. კომიტეტის გადაწყვეტილებაში მიეთითება:
   ა) საქმის საიდენტიფიკაციო მონაცემები, საქმის მონაწილეები და საქმის საგანი;
   ბ) განცხადებაში მითითებული გარემოებებისა და მოთხოვნის მოკლე აღწერა;
   გ) განხილვის ფარგლებში განხორციელებული პროცედურები და შესწავლილი მასალები;
   დ) დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებების შეფასება;
   ე) ქცევის შეფასება შესაბამისი ეთიკისა და ქცევის მარეგულირებელი აქტების მიხედვით;
   ვ) დასაბუთებული დასკვნა ეთიკური დარღვევის არსებობის ან არარსებობის შესახებ;
   ზ) ეთიკური დარღვევის დადგენის შემთხვევაში - რეკომენდაცია შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომის ან რეაგირების სხვა ღონისძიების გამოყენების შესახებ;
   თ) გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი და ვადა.
3. პასუხისმგებლობის ზომის ან სხვა ღონისძიების გამოყენების შესახებ რეკომენდაციის წარდგენისას კომიტეტი ითვალისწინებს დარღვევის ხასიათს, სიმძიმეს, ქმედების განზრახ ან გაუფრთხილებელ ხასიათს, შედეგებს, განმეორებითობასა და სხვა არსებით გარემოებებს.
4. კომიტეტის წევრს, რომელიც არ ეთანხმება გადაწყვეტილებას მთლიანად ან ნაწილობრივ, უფლება აქვს წარმოადგინოს წერილობითი განსხვავებული აზრი, რომელიც ერთვის გადაწყვეტილებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
5. კომიტეტის გადაწყვეტილება მიღებიდან არაუგვიანეს 3 კალენდარული დღის ვადაში ეცნობება განმცხადებელსა და პირს, რომლის ქცევაც განიხილებოდა, კონფიდენციალურობისა და პერსონალური მონაცემების დაცვის მოთხოვნების დაცვით.
6. ეთიკური დარღვევის დადგენის შესახებ კომიტეტის გადაწყვეტილება, თუ იგი დადგენილ ვადაში არ გასაჩივრდა, გასაჩივრების ვადის გასვლიდან არაუგვიანეს 3 კალენდარული დღის ვადაში ეგზავნება რექტორს.
7. კომიტეტის სხდომაზე დგება ოქმი, რომელშიც აისახება სხდომის მონაწილეები, განხილული საკითხები, აცილებისა და თვითაცილების შემთხვევები, კენჭისყრის შედეგები და მიღებული გადაწყვეტილება. ოქმს ხელს აწერენ თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში – თავმჯდომარის მოადგილე, და მდივანი. ოქმს ერთვის საქმის განხილვასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი დოკუმენტები, მათ შორის წარმოდგენილი წერილობითი მასალები, მტკიცებულებები და, საჭიროების შემთხვევაში, განსხვავებული აზრი.

მუხლი 37. საქმის მასალების შენახვა

1. კომიტეტის მდივანი უზრუნველყოფს საქმის მასალების აღრიცხვასა და უსაფრთხო შენახვას კონფიდენციალურობისა და პერსონალური მონაცემების დაცვის მოთხოვნათა შესაბამისად.
2. საქმის მასალებზე წვდომა აქვთ კომიტეტის წევრებს, საქმის მონაწილეებს (საკუთარი ინტერესების დასაცავად აუცილებელი მოცულობით) და შესაბამის უფლებამოსილ პირებს. მასალები ინახება საბოლოო გადაწყვეტილების მიღებიდან ხუთი წლის განმავლობაში, რის შემდეგაც ნადგურდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 38. კომიტეტის გადაწყვეტილების გასაჩივრება

1. განმცხადებელსა და პირს, რომლის ქცევაც განიხილებოდა, უფლება აქვთ გაასაჩივრონ კომიტეტის გადაწყვეტილება.
2. საჩივარი გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში წერილობით წარედგინება:
   ა) უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს, თუ კომიტეტის გადაწყვეტილება პერსონალის ან უნივერსიტეტის საქმიანობაში სხვა სამართლებრივი საფუძვლით ჩართული პირის ქცევას შეეხება;
   ბ) შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს, თუ კომიტეტის გადაწყვეტილება სტუდენტის ან მსმენელის ქცევას შეეხება.
3. საჩივარი უნდა იყოს დასაბუთებული და უნდა შეიცავდეს:
   ა) გასაჩივრებული გადაწყვეტილების მითითებას;
   ბ) გასაჩივრების საფუძვლებსა და არგუმენტებს;
   გ) საჩივრის ავტორის მოთხოვნას;
   დ) შესაბამის მტკიცებულებებს, მათი არსებობის შემთხვევაში.
4. წარმომადგენლობითი საბჭო ან შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო საჩივარს განიხილავს კანონიერების, მიუკერძოებლობის, სამართლიანობისა და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პრინციპების დაცვით.
5. წარმომადგენლობითი საბჭოს ან შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს წევრი, რომელიც მონაწილეობდა საქმის პირველადი განხილვის ეტაპზე ან რომლის მიუკერძოებლობის მიმართ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, არ მონაწილეობს საჩივრის განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაში.
6. წარმომადგენლობითი საბჭო ან შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო საჩივარს განიხილავს მისი მიღებიდან არაუგვიანეს 20 სამუშაო დღისა.
7. საჩივრის განხილვისას საჩივრის ავტორს უფლება აქვს:
   ა) დაესწროს სხდომას;
   ბ) წარმოადგინოს განმარტებები, მტკიცებულებები და დამატებითი მოსაზრებები;
   გ) ისარგებლოს წარმომადგენლის დახმარებით.
8. საჩივრის განხილვის შედეგად წარმომადგენლობითი საბჭო ან ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:
   ა) კომიტეტის გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ;
   ბ) კომიტეტის გადაწყვეტილების ნაწილობრივ ან სრულად შეცვლის შესახებ;
   გ) კომიტეტის გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახალი განხილვისთვის კომიტეტში დაბრუნების შესახებ;
   დ) კომიტეტის გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.
9. წარმომადგენლობითმა საბჭომ ან ფაკულტეტის საბჭომ არ უნდა გააუარესოს პირის მდგომარეობა ან მოითხოვოს მის მიმართ უფრო მკაცრი პასუხისმგებლობის ზომის გამოყენება.
10. წარმომადგენლობითი საბჭოს ან ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება მისი მიღებიდან არაუგვიანეს 3 კალენდარული დღის ვადაში ეგზავნება განმცხადებელს, პირს, რომლის ქცევაც განიხილებოდა, კომიტეტსა და უნივერსიტეტის რექტორს.

თავი VII. პასუხისმგებლობა ეთიკური ნორმების დარღვევისათვის

მუხლი 39. პასუხისმგებლობის ზომის გამოყენება

1. ეთიკური დარღვევის დადგენის შემთხვევაში რექტორი კომიტეტის გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის გასვლიდან, ხოლო გასაჩივრების შემთხვევაში – წარმომადგენლობითი საბჭოს ან შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღის ვადაში იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას პასუხისმგებლობის ზომის ან რეაგირების სხვა ღონისძიების გამოყენების შესახებ.
2. თუ ეთიკური დარღვევა რექტორს უკავშირდება, პასუხისმგებლობის ზომის ან რეაგირების სხვა ღონისძიების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს წარმომადგენლობითი საბჭო.
3. პასუხისმგებლობის ზომის გამოყენება არ გამორიცხავს დარღვევის შედეგების აღმოფხვრას, მიყენებული ზიანის ანაზღაურებას ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა, მათ შორის სამოქალაქო ან სისხლისსამართლებრივ, პასუხისმგებლობას.
4. რექტორის ან წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება უნივერსიტეტში საბოლოოა და შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 40. პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაცია და პროპორციულობა

1. პასუხისმგებლობის ზომა უნდა შეესაბამებოდეს დარღვევის ხასიათს, სიმძიმესა და შედეგებს და არ უნდა ზღუდავდეს პირის უფლებებს იმაზე მეტად, ვიდრე აუცილებელია რეაგირების მიზნის მისაღწევად.
2. პასუხისმგებლობის ზომის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:
   ა) დარღვევის ხასიათი და სიმძიმე;
   ბ) ქმედების განზრახი ან გაუფრთხილებელი ხასიათი;
   გ) დამდგარი ან შესაძლო ზიანის ხასიათი და მოცულობა;
   დ) დარღვევის ხანგრძლივობა, სისტემატურობა ან განმეორებითობა;
   ე) პირის როლი და პასუხისმგებლობის ხარისხი;
   ვ) დარღვევის აღიარება და მისი შედეგების აღმოსაფხვრელად განხორციელებული ქმედებები;
   ზ) საქმის განხილვისას თანამშრომლობა;
   თ) სხვა შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოებები.
3. ერთი და იმავე ეთიკური დარღვევისთვის პირს შეიძლება დაეკისროს მხოლოდ ერთი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა, რაც არ გამორიცხავს დარღვევის შედეგების აღმოსაფხვრელად საჭირო სხვა ღონისძიების გამოყენებას.
4. დაუშვებელია პირის მდგომარეობის დამძიმება ეთიკის კომიტეტისთვის მიმართვის, საკუთარი პოზიციის დაცვის, გადაწყვეტილების გასაჩივრების ან საქმის განხილვაში კანონიერად მონაწილეობის გამო.

მუხლი 41. პერსონალის მიმართ გამოსაყენებელი პასუხისმგებლობის ზომები

1. ეთიკური დარღვევის დადგენის შემთხვევაში უნივერსიტეტის პერსონალის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ერთ-ერთი შემდეგი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა:
   ა) შენიშვნა;
   ბ) გაფრთხილება;
   გ) საყვედური;
   დ) მკაცრი საყვედური;
   ე) სწავლების, სტუდენტთა შეფასების, აკადემიური ან სამეცნიერო ხელმძღვანელობის უფლებამოსილების დროებითი შეზღუდვა – არაუმეტეს 1 (ერთი) აკადემიური წლის ვადით;
   ვ) ადმინისტრაციული მოვალეობების შესრულებისგან დროებითი ჩამოშორება – არაუმეტეს 1 (ერთი) წლის ვადით, შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში;
   ზ) შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ზომა გამოიყენება, თუ პირმა სწავლების, სტუდენტთა შეფასების, აკადემიური ან სამეცნიერო ხელმძღვანელობის განხორციელებისას ეთიკის წესები უხეშად ან სისტემატურად დაარღვია.
3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ზომა გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ დარღვევა უშუალოდ უკავშირდება ადმინისტრაციული მოვალეობების შესრულებას და არსებობს მისი გამოყენების სამართლებრივი საფუძველი.
4. შრომითი ურთიერთობა შეიძლება შეწყდეს დარღვევის უხეში ხასიათის გამო ან დარღვევის განმეორებით ჩადენისას, თუ ბოლო 1 (ერთი) წლის განმავლობაში პირის მიმართ უკვე გამოყენებული იყო დისციპლინური პასუხისმგებლობის რომელიმე ზომა.
5. უხეშ ეთიკურ დარღვევად შეიძლება შეფასდეს, მათ შორის:
   ა) დისკრიმინაცია ან სექსუალური შევიწროება;
   ბ) ძალადობა ან ძალადობის მუქარა;
   გ) პირის სისტემატური ჩაგვრა, დამცირება ან დაშინება;
   დ) კორუფციული ქმედება ან არამართლზომიერი სარგებლის მიღება;
   ე) კონფიდენციალური ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების განზრახ გამჟღავნება, რამაც არსებითი ზიანი გამოიწვია;
   ვ) უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება;
   ზ) დოკუმენტის ან მონაცემის გაყალბება;
   თ) პირის ღირსების ან რეპუტაციის შელახვის მიზნით ცრუ ინფორმაციის განზრახ გავრცელება.

მუხლი 42. სტუდენტისა და მსმენელის მიმართ გამოსაყენებელი პასუხისმგებლობის ზომები

1. ეთიკური დარღვევის დადგენის შემთხვევაში სტუდენტის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს:
   ა) გაფრთხილება;
   ბ) საყვედური;
   გ) სტუდენტის სტატუსის შეჩერება ერთი სასწავლო სემესტრის ვადით;
   დ) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.
2. ეთიკური დარღვევის დადგენის შემთხვევაში მსმენელის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს:
   ა) გაფრთხილება;
   ბ) საყვედური;
   გ) მსმენელის სტატუსის შეწყვეტა.
3. სტუდენტის სტატუსის შეჩერება ან შეწყვეტა და მსმენელის სტატუსის შეწყვეტა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მძიმე ან განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში.
4. მძიმე ეთიკურ დარღვევად შეიძლება შეფასდეს, მათ შორის:
   ა) ძალადობა ან ძალადობის მუქარა;
   ბ) სექსუალური შევიწროება;
   გ) პირის სისტემატური ჩაგვრა, დამცირება ან დაშინება;
   დ) სხვა პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა ან უსაფრთხოებისთვის არსებითი საფრთხის შექმნა;
   ე) უნივერსიტეტის ან სხვა პირის ქონების განზრახ მნიშვნელოვანი დაზიანება ან მითვისება;
   ვ) დოკუმენტის გაყალბება ან შეფასებაზე თუ გადაწყვეტილებაზე უკანონო ზემოქმედების მცდელობა;
   ზ) კონფიდენციალური ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების განზრახ გამჟღავნება, რომელმაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია ან შეიძლებოდა გამოეწვია;
   თ) ეთიკური დარღვევის განმეორებით ჩადენა, თუ ადრე გამოყენებულმა პასუხისმგებლობის ზომამ მიზანს ვერ მიაღწია.
5. სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილებაში მიეთითება სასწავლო სემესტრი, რომელზეც ვრცელდება პასუხისმგებლობის ზომა. შეჩერების ვადის გასვლის შემდეგ სტატუსის აღდგენა ხორციელდება უნივერსიტეტში დადგენილი წესით.

თავი VIII. დასკვნითი დებულებები

მუხლი 43. კოდექსის დამტკიცება, ძალაში შესვლა და ხელმისაწვდომობა

1. წინამდებარე კოდექსს ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო.
2. კოდექსი ძალაში შედის მისი დამტკიცებისთანავე, თუ დამტკიცების შესახებ სამართლებრივი აქტით სხვა ვადა არ არის განსაზღვრული.

3. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს კოდექსის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებასა და მისი შინაარსის სტუდენტებისა და პერსონალისთვის გაცნობას.

მუხლი 44. კოდექსის გადახედვა და ცვლილების შეტანა

1. უნივერსიტეტი კოდექსის განხორციელებასა და აქტუალობას აფასებს არანაკლებ სამ წელიწადში ერთხელ ან საჭიროებისამებრ.
2. კოდექსში ცვლილებას ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო.